ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საინფორმაციო სფეროში

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და ა(ა)იპ-ვიკიმედიის მომხმარებელთა

საქართველოს ჯგუფს შორის

ქ. თბილისი **5 თებერვალი 2022 წელი**

ერთი მხრივ, **საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია** (შემდგომში - ადმინისტრაცია) წარმოდგენილი ადმინისტრაციის უფროსის **ნათია სულავას** სახით, მეორე მხრივ, **ა(ა)იპ - ვიკიმედიის მომხმარებელთა საქართველოს ჯგუფი (შემდგომში ვიკიმედია)** წარმოდგენილი თავმჯდომარის **მეჰმან იბრაგიმოვის** სახით, ერთობლივად წოდებულნი „მხარეებად", ხოლო ცალ-ცალკე წოდებულნი როგორც „მხარე",

ხელმძღვანელობენ რა საინფორმაციო სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით,

ადგენენ რა მხარეებს შორის თანამშრომლობის კავშირების დამყარებისა და შემდგომში მხარეთა შორის თანამშრომლობის გაძლიერების აუცილებლობას,

გამოხატავენ რა სურვილს ხელი შეუწყონ ერთობლივ პარტნიორობას და გააძლიერონ ორმხრივი თანამშრომლობა საინფორმაციო სფეროში,

მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი

მემორანდუმის მიზანია, ხელი შეუწყოს ვიკიმედიის პროექტებში (ვიკიპედიაში) საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან დაკავშირებით ინფორმაციის განთავსებას და მუდმივად განახლებას, პოპულარიზაციას ვიკიმედიის აქტივობების საშუალებით.

მუხლი 2. მემორანდუმის საგანი

2.1 მემორანდუმის საგანია ადმინისტრაციის ინიციატივით, ვიკიმედიის პროექტებში ფოტო-ფონო-ვიდეო მასალის და ტექსტური ინფორმაციის განთავსება ქართულ და უცხოურ ენებზე, რომელიც შექმნილი ან/და დამუშავებულია ადმინისტრაციის მიერ და დაცულია ადმინისტრაციაში ან/და მის ელექტრონულ რესურსებზე, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.

2.2 მხარეები, ასევე უზრუნველყოფენ ამავე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მემორანდუმის საგნის განხორციელების მიზნით, ტრენინგების, კონკურსების და საინფორმაციო ხასათის შეხვედრების და სხვა ღონისძიებების ორგანიზებას და ჩატარებას.

მუხლი 3. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

3.1 ადმინისტრაცია უზრუნველყოფს:

- თემატური ინფორმაციის მიწოდებას (ფოტო-ფონო-ვიდეო მასალა და ტექსტური ინფორმაცია) ვიკიმედიისთვის მათ პროექტებში განთავსების მიზნით.
- ვიკიმედიის აქტივობებში თემატური კომპონენტის გაძლიერებას ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით (საინფორმაციო შეხვედრები, ტრენინგები, ლექციები, ვორქშოპები, კონფერენციები, ედიტ-ათონები და ღია კონკურსები, ვიკიბანაკი და სხვ.).

3.2 ვიკიმედია უზრუნველყოფს:

- მათთვის გადაცემული თემატური ინფორმაციის სრულყოფილ ასახვას ვიკიმედიის პროექტებში.
- მემორანდუმით განსაზღვრული თემატური ღონისძიებების უსასყიდლოდ ორგანიზებას და ჩატარებას.

3.3 მხარეები თანხმდებიან, რომ ერთმანეთს გაუზიარებენ ინფორმაციას ვიკიმედიის პროექტებში განსათავსებელი მასალის/ინფორმაციის ეფექტიანი მართვის მიზნით.

3.4 მხარეები გამოხატავენ ნებას, მიაწოდონ ერთმანეთს ყველა საჭირო ინფორმაცია სამუშაო პროცესში წამოჭრილი ნებისმიერი სირთულის შესახებ, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნის განხორციელებაზე.

3.5 მხარეები თანხმდებიან ადამიანური და საინფორმაციო რესურსების მობილიზებაზე მემორანდუმის მიზნიდან გამომდინარე აქტიური მუშაობისთვის, მათ შორის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.

3.6 მხარეები გამოხატავენ ნებას, ხელი შეუწყონ წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნის განხორციელებას.

3.7 წინამდებარე მემორანდუმი არ წარმოშობს მხარეთა შორის რაიმე სახის ფინანსურ ვალდებულებებს და არ წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებას ან/და წინარე ხელშეკრულებას.

მუხლი 4. მემორანდუმის მოქმედების ვადა

წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 3 (სამი) წლის ვადით.

მუხლი 5. მემორანდუმის შეწყვეტა

5.1 წინამდებარე მემორანდუმი შეიძლება შეწყდეს ურთიერთშეთანხმებით, ან ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მემორანდუმის შეწყვეტის თაობაზე არანაკლებ ერთი თვით ადრე, მეორე მხარესთან წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შედეგად.

5.2 მემორანდუმის მოქმედება ვადაზე ადრე წყდება მეორე მხარის მიერ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის შემდეგ.

5.3 მემორანდუმის შეწყვეტის შემდეგ მხარეებმა ხელი უნდა შეუწყონ მემორანდუმის ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შეუფერხებლად დასრულებას.

მუხლი 6. მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

6.1 მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, წერილობითი ფორმით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
6.2 ცვლილება-დამატება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 7. დავის გადაწყვეტის წესი

მემორანდუმის ფარგლებში წარმოქმნილი დავის გადაწყვეტა უნდა მოხდეს მხარეებს შორის ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.

მუხლი 8. სხვა პირობები

მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემათ მხარეებს.

მუხლი 9. მხარეთა ხელმოწერები

წინამდებარე მემორანდუმის პირობებზე შეთანხმების დასადასტურებლად მემორანდუმს ხელს აწერენ:

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია
მისამართი: ქ. თბილისი, ათონელის ქ. N25
საიდენტიფიკაციო კოდი:
204455446

ა(ა)იპ- ვიკიმედიის მომხმარებელთა საქართველოს ჯგუფი
მის: ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი,
თემქის დას., 11 მ/რ, 1 კვ. ,კორ. 7, ბ. 11
საიდენტიფიკაციო კოდი: 400272110

ადმინისტრაციის უფროსი
ნათია სულავა

თავმჯდომარე
მეჰმან იბრაგიმოვი